


აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა



2019-2020 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- 2019-2020 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა სტატუსები ერთიან ეროვნულ გამოცდებზე



2019-2020 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და ნარმატებები

- 2019-2020 სასწავლო წელს 42-ე საჯარო სკოლის 17-მა მოსწავლემ სკოლა წარჩინებით დაამთავრა
- აქედან 3-მა ოქროს, ხოლო 14 -მა მოსწავლემ ვერცხლის მედალი დაიმსახურა;

2019-2020 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

მოსწავლეთა წარმატებები წარჩინებული მოსწავლეები ლექტორებით დასაჩუქრდნენ

პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“- ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა წარჩინებული მეათაკლასელი მოსწავლეები პერსონალური კომპიუტერებით დააჯილდოვა.



ნანუკა ქოჩიაშვილი, ლიზი დარჩია, ანა ჰაპიძე, სანდრო მამავთავრიშვილი, ქეთევან პერანიძე, ლუკა ბურდული. ამ მოსწავლეებმა საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები) წარმატებით დაასრულეს და მათი საფეხურის ნიშანი გახლავთ 10 ქულა დამრგვალების გარეშე.

მოსწავლეების საერთაშორისო წარმატება



2020 წლის 13-17 იანვარს ყაზახეთის ქალაქ ალმატიში ჩატარდა **ჟაუტიკოვის** სახელობის მე-16 საერთაშორისო ოლიმპიადა მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში. წელს ოლიმპიადაზე 21 ქვეყნის 84 სკოლის გუნდი იყო წარმოდგენილი. მათ შორის ტრადიციულად მონაწილეობდნენ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდიც.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები წარმატებით გამოვიდნენ ამ მეტად პრესტიჟულ ოლიმპიადაზე. **მეთორმეტეკლასელმა ნიკოლოზ გლუნჩაძემ და მეთერთმეტეკლასელმა დემეტრე გელაშვილმა მათემატიკაში ბრინჯაოს** მედალები მოიპოვეს.

ჩვენი სკოლის მათემატიკის მასწავლებლის ლელა მამულაშვილის საერთაშორისო წარმატება

ატლანტიკის და სასიხარულოა ის ფაქტიც, ჟაუტიკოვის საერთაშორისო ოლიმპიადაზე, რომელიც ყოველწლიურად ტარდება ყაზახეთის ქალაქ ალმატიში მათემატიკის მასწავლებელთა კონკურსში ჩვენი სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა და საოლიმპიადო წრის ხელმძღვანელმა

ლელა მამულაშვილმა მაქსიმალური შეფასება -80 ქულა მიიღო და **ოქროს** მედალი მოიპოვა. ფიზიკის მწვრნელთა კონკურსში ფიზიკის საოლიმპიადო წრის ხელმძღვანელმა **ლუკა ხიზანიშვილმა** ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ჟაუტიკოვის საერთაშორისო ოლიმპიადა ყოველწლიურად ტარდება ყაზახეთის ქალაქ

ალმატიში



2019-2020 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ჩხენკელი მათემატიკის, ფიზიკისა და ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადიდან 16 მედლით დაბრუნებულ მოსწავლეებსა და მათ პედაგოგებს შეხვდა და გამარჯვება მიულოცა.. მათ შორის იყვნენ ჩვენი სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები



წარმატებული კურსდამთავრებულები

ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები აშშ-ის უმაღლესებში

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა **საბა ხარაბაძემ, გუგა ხუნდაკიშვილმა და ბექა მოდრეკილაძემ** Purdue University-ს ფიზიკის PhD პროგრამაზე დაფინანსება მიიღეს და მომდევნო 4-5 წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამასთან ერთად მუშაობის შესაძლებლობასაც ექნებათ. ამერიკული მხარე ახალგაზრდებს უნივერსიტეტში Teaching Assistant-ებად დაასაქმებს.




წარმატებული კურსდამთავრებულები

- **ანასტასია კვინიკაძე** - საგრანტო კონკურსი "STEM-ის მომავალი პროფესიონალის" ფინალისტი და სტიპენდიანტი, თავისუფალი უნივერსიტეტის

MACS(E)-ს სკოლის კომპიუტერული მეცნიერებისა და მათემატიკის მეორე კურსის სტუდენტი.

, "STEM კვირეული - 2020,-ის ფინალისტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მესამე კურსის სტუდენტი და ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადის მედალოსანი - **თომა რთველიაშვილი**.



წარმატებული კურსდამთავრებულები

მწერალთა სახლის მიერ ორგანიზებული ჟანრული ლიტერატურის
ფესტივალის

ლიტერატურული კონკურსი “ინსომნია” 2020-ის გამარჯვებული
ჩვენი სკოლის 2019-2020წლის წარმატებული კურსდამთავრებული

ანუკი შატაკიშვილი



წიგნების თაროს გამარჯვებულები

გამოვლინდა წიგნების თაროს 2020 წლის მე-7 სეზონის გამარჯვებულები. კიდევ ერთხელ ასახელეს სკოლა ჩვენმა საუკეთესო მოსწავლეებმა: ალექსანდრე გუნიაძე, გიორგი მეფარიშვილი და თამარ კარიჭაშვილი, ისინი 2020 წლის ზაფხულში კემბრიჯში გაემგზავრებიან. შექმნილი პანდემიის გამო მათი გამგზავრება 1 წლით გადაიდო.



სკოლის მოსწავლეების მიერ ორგანიზებული პროექტი „აბა გამოიცანი“

ჩვენი სკოლის მეცხრეკლასელების ნიკოლოზ ლობჯანიძისა და ნინო აბრამიშვილის ინიციატივითა და ორგანიზებით 7-9 კლასის მოსწავლეებისათვის ჩატარდა სააზროვნო-შემეცნებითი კონკურსი

- „აბა გამოიცანი“

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სკოლის მოსწავლეთა ოცმა გუნდმა. საკონკურსო თემატიკა კი გახლდათ ლოგიკური და სააზროვნო გამოცანები.

კონკურსის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული -

VIII-3 კლასის გუნდი - „ დისკრიმინანტი“

კონკურსის ორგანიზატორებს და გამარჯვებულ მოსწავლეებს სკოლის ადმინისტრაციამ სერტიფიკატები გადასცა



პროექტის " შეუსრულებელი მისია" გამარჯვებული მოსწავლეები

ბავშვთა უფლებების კონვენციის მიღების დღესთან დაკავშირებით, სკოლაში შემეცნებითი პროექტი "შეუსრულებელი მისია" განხორციელდა.

პროექტში მონაწილეობა მიიღო სკოლის 11-მა გუნდმა. მოსწავლეებს მიეცათ დავალებები - "მისია". დავალებების ძირითადი თემატიკა იყო ბავშვის უფლებები.

აღსანიშნავია, რომ თითოეულმა გუნდმა აჩვენა ძალიან კრეატიული და შემოქმედებითი პრეზენტაცია.

თვითმმართველობის რჩეული - VII/5 კლასის გუნდი - "Avengers" გახდა , რომელთაც სერტიფიკატები და სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ



აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეები ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის ფინალისტები არიან

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი წელს მეექვსედ ტარდება.

2019-2020 წლის კონკურსში მონაწილეობა მიიღო 350-მდე გუნდმა. კონკურსის ფინალურ ეტაპზე გადავიდა 11 გუნდი საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, მათ შორის არიან ჩვენი სკოლის მოსწავლეებიც: დეა ნობაძე, ლუკა ბეგიაშვილი, გიორგი პაპიძე, ნიკოლოზ კვარაცხელია და თათია ჭიჭეიშვილი.

2020 წლის 14 ივლისს ფინალური გუნდები კონკურსის დამოუკიდებელი კომისიის წინაშე წარდგინენ და წარმოადგინეს დასრულებული პროექტები.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი 2014 წლიდან ხორციელდება „ათასწლეულის ფონდის“ მიერ, აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. კონკურსის მიზანია სკოლის მოსწავლეებში ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების შექმნის წახალისება. გამარჯვებული გუნდი მომავალ წელს გაემგზავრება ამერიკის შეერთებული შტატების ნასას კოსმოსური ცენტრის საბაფხულო უნივერსიტეტში და მონაწილეობას მიიღებს სსსსწ-ის პროგრამაში.



ჩვენი სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები საერთაშორისო კონფერენციაზე - „დემოკრატია სკოლაში“ - მასწავლებლის სახლში

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, ვერჯელანდის ევროპულ ცენტრთან ერთად (ნორვეგია), ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისში 17-18 ოქტომბერს საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლა. კონფერენცია „დემოკრატია სკოლაში“ მიეძღვნა საერთაშორისო გამოცდილების ურთიერთგაზიარებასა და სამომავლო ერთობლივი პროექტების ინიცირებას. კონფერენციაში მონაწილეობას იღებდნენ განათლების ექსპერტები, პრაქტიკოსი პედაგოგები, სკოლების წარმომადგენლები, განათლების სპეციალისტები საქართველოდან, მოლდოვადან, უკრაინიდან, საფრანგეთიდან და ნორვეგიიდან. მათ შორის იყვნენ ჩვენი სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები. კონფერენციაზე მოეწყო მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელი სკოლების წარმატებული პრაქტიკის გამოფენა, თუ როგორ ნერგავენ სკოლები ევროპის საბჭოს „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს“ და როგორ ავითარებენ დემოკრატიულ კულტურას. კონფერენციაზე შეჯამდა პროექტის ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგები და დაისახა ახალი ინიციატივები შემდგომი თანამშრომლობისათვის.



საქართველოს პარლამენტის მედლით დაჯილდოვდა საბუნებისმეტყველო და ტექნიკური (STEM) მიმართულებებით საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში საპრიზო ადგილებზე გასული მოსწავლეები, სკოლები და გუნდების ხელმძღვანელები.

პარლამენტში საბუნებისმეტყველო და ტექნიკური (STEM) მიმართულებებით საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში საპრიზო ადგილებზე გასული მოსწავლეების და გუნდების ხელმძღვანელთა დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებაში აკ. ი.ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ.თბილისის N42-ე საჯარო სკოლაც მონაწილეობდა. საპატიო მედლით დაჯილდოვდა სკოლა, სკოლის დირექტორის მოადგილე **თეიმურაზ გაჩეჩილაძე**, როგორც ფიზიკის ტურნირების ორგანიზატორი და ხელშემწყობი და ჩვენი სკოლის ქიმიის პედაგოგი **თინათინ ბუთხუბი**, ქიმიის საოლიმპიადო ნაკრების ხელმძღვანელი.



თინათინ ბუთხუზი საუკეთესო ქიმიის მასწავლებლად დასახელდა

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის #42 საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი - თინათინ ბუთხუზი 2019 წლის საუკეთესო ქიმიის მასწავლებლად დასახელდა!

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 2019 წლის საუკეთესო მასწავლებლები გამოავლინა. ქიმიის საუკეთესო მასწავლებელთა კონკურსში ჩვენი სკოლის ქიმიის მასწავლებელმა თინათინ ბუთხუზმა გაიმარჯვა.




საახალწლო დონისძიებები

საახალწლო კონკურსი-

ყველაზე ორიგინალურად და კრეატიულად მორთული საკლასო ოთახის კარები

სკოლის პროგრამების კოორდინატორისა და თვითმმართველობის წევრების ინიციატივით ჩატარდა საახალწლო კონკურსი : ყველაზე ორიგინალურად გაფორმებული საკლასო ოთახის კარები.

კონკურსში თითქმის ყველა კლასი ჩაერთო და საკლასო ოთახების კარებები სხადასხვა ინტერეპრეტაციით გააფორმეს.



საახალწლო კარნავალი

მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, დირექციისა და პროექტების კოორდინატორის მხარდაჭერით, სკოლაში 29 დეკემბერს ჩატარდა საახალწლო გამოფენა-კარნავალი.

გამოფენა-კარნავალის ფარგლებში მოსწავლეებმა, კლასების მიხედვით, წარადგინეს წინასწარ გადანიშნული ქვეყნების საახალწლო ტრადიციები.


შეასრულეს მუსიკალური ნომრები და ისიამოვნეს ამ რამდენიმე საათის განმავლობაში.

ჩვენი საახალწლო კარნავალი, რათქმაუნდა, არ იქნებოდა ასეთი, რომ არა ვისოლ ჭგუფისა და სმარტის მხარდაჭერა, მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ მათი უგემრიელესი პროდუქტი.




2020 წლის ბოლო ზარი ონლაინ რეჟიმში

ქვეყანაში შექმნილი პანდემიური ვითარების გამო, ჩვენმა კურსდამთავრებულებმა ბოლო ზარი ონლაინ რეჟიმში ჩაატარეს.



ჩვენი სკოლის მოსწავლეების ინიციატივითა და სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, შეიქმნა უნიკალური, ონლაინ სასკოლო ჟურნალისტიკის მოდელი “ვეკუა TV”

პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებმა მოირგეს ჟურნალისტების ამპლუა და სხვადასხვა რუბრიკების ფარგლებში, შემოგვთავაზეს საინტერესო სიუჟეტები.



ყოველწლიური სასკოლო კონფერენცია ონლაინ რეჟიმში

შექმნილი სიტუაციის გამომდინარე, მოსწავლეებმა ყოველწლიური კონფერენცია წელს ონლაინ რეჟიმში ჩაატარეს. სკოლის სხვადასხვა კლასის მოსწავლეებმა მოხსენებები ჩვენს ფეისბუქ გვერდზე, ლაივ-რეჟიმში წაიკითხეს.

ვიკუას
კონფერენცია
2020 მეორე დღე



ენერჯის დათვლა

გამოყოფილი ხაიმის რაოდენობის დათვლა:

$$Q_{\text{წყალი}} = c_{\text{წყალი}} \cdot m_{\text{წყალი}} \cdot (t_2 - t_1)$$

სადა:
 $Q_{\text{წყალი}}$ - არის გამოყოფილი ხაიმის რაოდენობა
 $c_{\text{წყალი}}$ - კუთრი ხაიმბრტევალობა, რომელიც საჭიროა 1კგ მხის რაიმე ნივთიერების 1 გრადუსით გასათბობად
 t_1 - წყლის საწყისი ტემპერატურა
 t_2 - წყლის საბოლოო ტემპერატურა
 1 კალიორია არის ხაიმის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა 1გ მოცემული ნივთიერების 1 გრადუსით გასათბობად. ეს ნიშნის იმას, რომ ნივთიერების კუთრი ხაიმბრტევალობა არის 1კალ / გ°C.
 Q 1კალ = 4180ჯ / კგ°C = 0.001 კვ*1°C = 4.18ჯ

მეგალითი:

მოც:	
$m_{\text{წყალი}} = 100\text{გ}$	
$t_1 = 20^\circ\text{C}$	
$t_2 = 24^\circ\text{C}$	
$Q_{\text{წყალი}} = ?$	

პასუხი:

$Q_{\text{წყალი}} = m_{\text{წყალი}} \cdot C(t_2 - t_1)$
$Q_{\text{წყალი}} = 100\text{გ} \cdot 1\text{კალ/გ}^\circ\text{C} \cdot (24 - 20)^\circ\text{C}$
$Q_{\text{წყალი}} = 400\text{კალიორია}$

სადეზინფექციო სამუშაოები სკოლაში

სკოლაში ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული მომსახურების განევა სკოლას მშობელმა, გიორგი ბარსონაძემ შესთავაზა. ადმინისტრაცია მადლობას უხდის ორგანიზაციას GreenPark Georgia -ს და მის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნინო ოდიკაძეს, სკოლისათვის განეული დახმარებისთვის.




სკოლის ბიბლიოთეკა

სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ბიბლიოთეკათა ასოციაციასთან და შეიძინა ბიბლიოთეკისთვის ელექტრონული კატალოგი "Openbiblio".

საბიბლიოთეკო პროგრამა Openbiblio განკუთვნილია სასკოლო, საუნივერსიტეტო, საეკლესიო, ასოციაციების, ორგანიზაციების ბიბლიოთეკებისათვის ან კერძო კოლექციებისათვის. მასში შესაძლებელია 60000-მდე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გაკეთება და მართვა.

პროგრამაში დარეგისტრირებულია ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი და ჟურნალ-გაზეთები. ასევე შეიქმნა ანბანური და სისტემატიური კატალოგების ელექტრონული ვერსიები, თემატური კატალოგები, კატალოგები განყოფილებების მიხედვით.



ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკის საქმიანობის შესახებ სტატია სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალ "საქართველოს ბიბლიოთეკაში" გამოქვეყნდა



სტანდარტზედა სერვისები

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტანდარტზედა მომსახურების სერვისები:

- ლოგიკა
- პროგრამირება
- ელ. კვანძები
- სამედიცინო ეთიკა
- ფსიქოსინთეზი
- კრიტიკული აზროვნება
- გზა ევროპისკენ
- ბულალტერია
- ლიტმცოდნეობა
- მსოფლიო ლიტერატურა - ანტიკურიდან დღემდე
- თანამედროვე არტი
- ლიტერატურა და ფილოსოფია
- მენეჯმენტი
- არდუინო

მოსწავლეების მიერ შექმნილი „რობოტი 42“

2018-2019 სასწავლო წელს სტანდარტზედა მომსახურების სერვისის-რობოტექნიკის პროგრამის ფარგლებში მოსწავლეების მიერ შეიქმნა რობოტი სახელწოდებით „რობოტი 42“

რობოტი იმართება, როგორც დისტანციურად ასევე, პროგრამულად. მას აქვს საშუალება იმოძრაოს წინასწარ დადგენილი ტრაექტორიით, აღჭურვილია Microsoft kinect სენსორით რაც საშუალებას აძლევს მას გამოიცნოს ადამიანის ჟესტები. რობოტს აქვს ასევე, ხმის სენსორები, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება ხმის მიმართულება. რობოტის პროგრამული უზრუნველყოფა საშუალებას იძლევა ამოიცნოს ინგლისურ ენაზე წარმოთქმული სიტყვები და შეასრულოს შესაბამისი ბრძანებები



საოლიმპიადო წრეები

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი საოლიმპიადო წრეები:

- ქიმია (ხელმძღვანელი: საე. ნაკრების საოლიმპიადო გუნდის ხელმძღვანელი - თინათინ ბუთხუზი)
- ფიზიკა
- მათემატიკა
- ბიოლოგია
- ინფორმატიკა
- ასტროფიზიკა
- ახალგაზრდა ნატურალისტთა ტურნირისათვის მოსამზადებელი 8-9-10
- ახალგაზრდა ფიზიკოსთა წრე 10-11-12
- ელექტრონული ინჟინერია

წრეებს უხელმძღვანელებენ ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც სხვადასხვა წლებში იყვნენ ოლიმპიადებისა და ტურნირების გამარჯვებულები.

პროფესიული განვითარებისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში სკოლას ყოველწლიურად სხვადასხვა უნივერსიტეტი სტუდენტებს

- თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტი
- საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი
- საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტი (GII)
- კავკასიის უნივერსიტეტი



**აკადემიკოს ილია ვეკუას
სახელობის ფიზიკა მათემატიკის
#42 საჯარო სკოლა**

მადლობა ყურადღებისათვის!